PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯ „მერმისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „მერმისი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ
საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ვიზიტის მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/03/2020 N276939 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ვებტექნოლოგიების საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2ე- პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაცნობითი შეხვედრა და გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან ;
- საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის;

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

- ვიზიტის დროს საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

1.1. ქვესტანდარტი

რეკომენდაცია - სასურველია, შემუშავებულ იქნას დამატებითი/განმეორებითი შეფასების უფრო მოქნილი, გამჭვირვალე რეგულაცია, რომელიც არ შეზღუდავს არც პროგრამის განმახორციელებელ პირს და არც იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც დასჭირდება შედეგის განმეორებით დადასტურება და ამავდროულად, არ დაირღვევა იმ პროფესიული სტუდენტების უფლებები, რომელთაც არ დაუდგათ განმეორებით დადასტურების საჭიროება - დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილ იქნა ცვლილება და გაჩნდა ჩანაწერი: პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს შემდგომი მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი დაიშვება შემდგომ მოდულზე იმ პირობით, რომ ის 10 კალენდარული დღის ვადაში დადასტურებს დაუდასტურებელი მოდულის სწავლის შედეგებს. აღნიშნული სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ, გამოიწვევს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოდულზე დაშვების წინაპირობის დარღვევას, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი დააკორექტიროს, ისე რომ პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სწავლის შედეგები დაადასტუროს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე, დაწესებულებას მოუწევს სასწავლო გეგმის კორექტირება, რათა წინაპირობების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება დაადასტურონ დაუდასტურებელი შედეგი ან/და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ აპელაციის წესით და დაელოდონ შედეგებს, ისე რომ ხელი არ შეეშალოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, დაწესებულებას შეუძლია სასწავლო გეგმის შემუშავებისას მაქსიმალურად ის გამოიყენოს მოდულები, რომლებსაც არ აქვს წინაპირობები.

რეკომენდაცია - სასურველია, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი არჩევითი მოდულის სახით იძლევა "საწარმოო პრაქტიკის" განხორციელების საშუალებას, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამაში გაითვალისწინოს აღნიშნული მოდული, რაც უფრო ინტერაქტიულს, მრავალფეროვანს და მიმზიდველს გახდის სწავლების პროცესს. პროფესიულ სტუდენტს ექნება საშუალება რეალურ სამუშაო გარემოში განიმტკიცოს ცოდნა, ეს კი აუმაღლებს მოტივაციას და დაეხმარება შემდგომ დასაქმებაში - ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტი არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკის არჩევით მოდულს შესაბამისად დაწესებულება ვერ გაითვალისწინებდა რეკომენდაციამ ამ პროგრამის ფარგლებში.

1.6.ქვესტანდარტი

რეკომენდაცია - სასურველია დოკუმენტი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა"განახლდეს და დაკონკრეტდეს რეგულაციები, დეტალურად გაიწეროს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო ინსტრუქცია - დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა, განახლდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, დეტალურად გაიწერა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო ინსტრუქცია.

რეკომენდაცია - სასურველია, კითხვარების სახელწოდებები (სტუდენტთა კითხვარი; პედაგოგთა კითხვარი) ჩამოყალიბდეს შედეგნაირად პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი - დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა კითხვარების სახელწოდებები ჩამოყალიბდა შედეგნაირად პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების კითხვარი; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს შემდგომი მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი დაიშვება შემდგომ მოდულზე იმ პირობით, რომ ის 10 კალენდარული დღის ვადაში დადასტურებს დაუდასტურებელი მოდულის სწავლის შედეგებს. აღნიშნული სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ, გამოიწვევს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოდულზე დაშვების წინაპირობის დარღვევას, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი დააკორექტიროს, ისე რომ პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სწავლის შედეგები დაადასტუროს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე, დაწესებულებას მოუწევს სასწავლო გეგმის კორექტირება, რათა წინაპირობების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება დაადასტურონ დაუდასტურებელი შედეგი ან/და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ აპელაციის წესით და დაელოდონ შედეგებს, ისე რომ ხელი არ შეეშალოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, დაწესებულებას შეუძლია სასწავლო გეგმის შემუშავებისას მაქსიმალურად ის გამოიყენოს მოდულები, რომლებსაც არ აქვს წინაპირობები.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი მერმისის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N 04-164 ბრძანება, ცვლილებები სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის 2020 წლის 04 მარტის N 04-71 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის ჩიხი N9 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯი „მერმისის“ გადაწყვეტილება ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას და შესაბამის დასაბუთებას. პროგრამის განხორციელების დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა :

- სპეციალობის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება 2012 წლიდან დღემდე(საგნობრივიდან-მოდულურზე);
- პროგრამაზე მზარდი მოთხოვნა აპლიკანტების მხრიდან;
- დასაქმების მაჩვენებლები (კურსდამთავრებულთა სტატისტიკა)
- საბაზო განათლების მქონე პირთა შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სააგენტოს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დასაქმების სააგენტოების მონაცემები ვებტექნოლოგიის სფეროში არსებული ვაკანსიების შესახებ;

ვებტექნოლოგიების არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში დაიშვებიან საბაზო განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას;

სსიპ კოლეჯი „მერმისის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის საფუძველზე შემუშავებულია ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დასაბუთება, როგორც არაინტეგრირებულ, ისე ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული ადამიანური და მატერიალური რესურსები, ანალიზის საფუძველზე კოლეჯი გეგმავს ინტეგრირებული პროგრამებისთვის გამოიყენოს უკვე ავტორიზებული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა (40 პროფესიული სტუდენტი). ამ ეტაპზე ვებტექნოლოგიების არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 13 აქტიური პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, მათ შორის მოდულებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს;

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;

პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის დასახელება არ არის შეცვლილი და იდენტურია პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზებული პროგრამის დასახელებისა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ პროგრამის შემუშავების საფუძველია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, გარდა აღნიშნულისა, შემუშავების საფუძველია ასევე შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში- პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში იგულისხმება პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და ხორციელდება პროფესიული მოდულების პარალელურად.ინტეგრირებულ პროგრამაზე სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი მერმისის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N 04-164 ბრძანებით ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის 2020 წლის 04 მარტის N 04-71 ბრძანებით ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებით დამტკიცების შესახებ;
- ვებტექნოლოგიების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ ბიბლიოთეკის ფონდით ;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ წესდებით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული : „პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და გაუქმების წესით“;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას 4 აუდიტორიაში,თითოეული აუდიტორიაში 20 პროფესიული სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი, კერძოდ ვებტექნოლოგიების AB გარემოში, ქიმიის კაბინეტში(C გარემო), გეოგრაფიის კაბინეტში, ფიზიკა და ბიოლოგიის ლაბორატორიებში (C გარემო), რომლებიც სრულად არის აღჭურვილი ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დირექტორის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ბრძანებით დარეგულირებულია: კონკურსის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციების ნუსხა, ვაკანტური ადგილების რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის პირობები, კონკურსანტების შერჩევის მიზნით დირექტორის ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

შეიქმნა საკონკურსო კომისია, საკონკურსო კომისიის შედეგები ასახულია სხდომის ოქმებში. თითოეულ მასწავლებელს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგები. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დასტურდება მასწავლებლის მიერ გავლილი ტრენინგებით (როგორც შიდა, ასე გარე პროვაიდერების მიერ განხორციელებული), რაზეც არსებობს მატერიალური მტკიცებულებები - სერტიფიკატები. ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (8 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ნაწილი საკითხები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში, რაც კვირაში 40 საათს არ აღემატება.

ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან განხორციელდა ინტერვიუ: პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები, მათი ნაწილი მონაწილეობდა განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ნაწილმა ერთი ეტაპის ტრენინგები გაიარა და ელოდება მეორე ეტაპს, პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის სპეციალისტები გამოთქვამენ მზაობას პროგრამის განხორციელებამდე ერთობლივად გაიაზრონ და დააკავშირონ დარგთან ინტეგრირებული მოდულების სწავლის შედეგები და ისე მიაწოდონ პროფესიულ სტუდენტებს.

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია მოწყობილია უნივერსალური დიზაინის მქონე ადაპტირებული გარემო იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას. ადაპტირებულია სველი წერტილები, მათ შორის ცალკე ქალბატონებისთვის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

ცალკე მამაკაცებისთვის. კოლეჯში ფუნქციონირებს ლიფტი. შესაბამისად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაცია/ პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს,პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების, პროგრამიული უზრუნველყოფის, დიპლომების /დანართების, სტუდენტთა ბარათებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 12 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ ბიბლიოთეკის ფონდით ;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესით და ბიბლიოთეკის დებულებით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“;
- კოლეჯის შინაგანაწესით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებები;
- სსიპ კოლეჯ მერმისის დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის 04-71 ბრძანებით -პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯ მერმისის დირექტორის 2019 წლის 17 ოქტომბრის 04-110 ბრძანებით -პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ.
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ კოლეჯს „მერმისი“ შემუშავებული აქვს დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს. დემინგის ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ - გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდეგ სქემას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

1. პირველი ეტაპი - “დაგეგმე” (PLAN)

1.1. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა), პროგრამების შემუშავება/დამატება;

1.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) სასწავლო გეგმის შესაბამისად;

1.3. პროგრამის განმახორციელებლების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისი კალენდარული გეგმების შემუშავება, რომლებსაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი;

1.4. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (ტრენინგები, კონსულტაციები);

1.5. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება (პასუხისმგებელი პირი - ინკლუზიური განათლების კოორდინატორი);

1.6. პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია ;

2. მეორე ეტაპი - “განახორციელე” (DO);

2.1. სასწავლო პროცესის წარმართვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ;

2.2. თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა;

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის განხორციელებისას უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა ;

2.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის მასალებით და ნედლეულით უზრუნველყოფა ;

2.5. მასწავლებლების მიერ სწავლის მისაღწევი შედეგების მიხედვით სანდო, ვალიდური, რელევენტური, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ;;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

2.6. სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების ორგანიზება შეფასების მიმართულების შესაბამისი ინსტრუმენტით;

2.7. შიდა ვერიფიკაცია;

2.8. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან/მსმენელებთან და განმახორციელებელ პირებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;

2.9. საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება, დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით ;

3. მესამე ეტაპზე - "შეამოწმე" (CHECK)

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი;

3.2. მოდულების კალენდარული გეგმების თემატიკისა და აქტივობების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის დადგენა;

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) პროგრამის მსვლელობისას მასალებისა და ნედლეულის ხარჯვის კონტროლი;

3.4. შიდა ვერიფიკაციის მონიტორინგი;

3.5. დაინტერესებული მხარეების (შიდა, გარე) გამოკითხვების ჩატარება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებით;

3.6. მესამე ეტაპით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელია ხარისხის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი/სავალდებულო მოდულის პროფესიული მასწავლებელი;

4. მეოთხე ეტაპზე - "განავითარე" (ACT)

4.1. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ანალიზის შედეგების შეჯამება, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების - განვითარების გეგმების/სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

4.2. არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროგრამების მოდიფიცირება;

4.3. სამიზნე ჯგუფების კონსულტირება/ტრენინგი და რეკომენდაციის მიცემა;

4.4. გამოვლენილი საჭიროებების საფუძვლეზე პერსონალის განვითარება

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების (მოკლევადიანი პროგრამა) სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან(პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა,დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები). ყველა ზემოთ აღწერილი ქმედებები ემსახურება პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას. დაწესებულებას აქვს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ მიმართულებით მისი მუშაობის შედეგებს. მაგ: გამოკითხვის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინიციატივები, პროგრამაში/მოდულებში შეტანილი ცვლილებები, ცენტრში გაგზავნილი კორესპონდეციები/ინიცირებები, კალენდარული გეგმები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- შევსებული კითხვარებით;
- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, ასევე გათვალისწინებელია ინტეგრირებული პროგრამების სასწავლო გეგმის აგების სპეციფიკა; სასწავლო გეგმა, რომელიც თავის მხრივ აგებულია პროგრამის განხორციელების თვისებურებების გათვალისწინებით, კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცვლების გათვალისწინებით და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. ვებტექნოლოგიების ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინდივიდუალურ საჭიროებად განხილული აქვს ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულებას გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს მოიცავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა. ვებტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის მოდულებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით საკუთარ მფლობელობაში არსებულ ფართზე, ამისათვის დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, უსაფრთხოების მანიშნებლები, იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი/პირები (დაცვის 5 თანამშრომელი) და შესაბამის ფართზე თვალსაჩინოდაა გამოკრული შესაბამისი ინსტრუქციები გასაცნობად და სახელმძღვანლოდ. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „მერმისის“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, დაწესებულებაში ხელმისაწვდომ ადგილებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები რომელთა დამუხტვის ვადები დაცულია და ვარგისია გამოსაყენებლად. კოლეჯის თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტრენინგები. კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ასევე თამბაქოს მოწევისა ამკრძალავი ნიშნები. კოლეჯის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის პირველ სართულზე, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - მედდა. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის რესურსით. სამედიცინო კაბინეტში წარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების სარეგისტრაციო ჟურნალი. საკონტაქტო ტელეფონი თაობაზე გამოკრულია კოლეჯში თვალსაჩინო ადგილებზე. საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით, კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.კორპუსი აყვანილია სახელმწიფო დაცვის სიგნალიზაციის ელექტრონული დაცვის სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კალენდარული გეგმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- სასწავლო ცხრილებით და ელექტრონული ჟურნალებით;
- დარაჯის და მედდის თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებეით/პირადი საქმეებით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული : „პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და გაუქმების წესით“;
- სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;
- საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის, დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრის გასწორება და შეფასება.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის პუნქტი 8 მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს შემდგომი მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი დაიშვება შემდგომ მოდულზე იმ პირობით, რომ ის 10 კალენდარული დღის ვადაში დადასტურებს დაუდასტურებელი მოდულის სწავლის შედეგებს. აღნიშნული სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ, გამოიწვევს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოდულზე დაშვების წინაპირობის დარღვევას, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი დააკორექტიროს, ისე რომ პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

სხვა მოდულის წინაპირობას, სწავლის შედეგები დაადასტუროს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე, დაწესებულებას მოუწევს სასწავლო გეგმის კორექტირება, რათა წინაპირობების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება დაადასტურონ დაუდასტურებელი შედეგი ან/და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ აპელაციის წესით და დაელოდონ შედეგებს, ისე რომ ხელი არ შეეშალოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, დაწესებულებას შეუძლია სასწავლო გეგმის შემუშავებისას მაქსიმალურად ის გამოიყენოს მოდულები, რომლებსაც არ აქვს წინაპირობები.

დაწესებულების შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური/სამართლიანი, ხოლო მტკიცებულებები - საკამრისი, ვალიდური, ავთენტური და ტრანსფერული. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტის გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ აწვდის, ვინ ამოწმებს, როგორ იღებს უკუკავშირს და სხვ.), შეფასების განხორციელება (რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას და ა.შ.), მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდგომ და ა.შ.). ვერიფიკაცია ორი მიმართულებით ხორციელდება : შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასების უწყისები უვადოდ ინახება.შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებულია პროგრამების განვითარების კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
შეფასება:

- სსიპ კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით;

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.04.2020 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი 2020 წელი